2023

სსიპ ქალაქ ტყიბულის #6 საჯარო სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობა „ერქვანი“

დებულება

თავი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 1.

1. სსიპ ქალაქ ტყიბულის #6 საჯარო სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობა „ერქვანი“ (შემდგომში თვითმმართველობა) არის „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 47-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანების დანართი N1-თ დამტკიცებული ,,საჯარო სკოლის წესდების” მე-10 მუხლის შესაბამისად არჩეული სკოლის შემადგენლობაში არსებული მოსწავლეთა წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით, სკოლის წესდებითა და წინამდებარე დებულებით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებს, როგორც სკოლის ფარგლებში, ასევე მის გარეთ.

2. მოსწავლეთა თვითმმართველობა წარმოადგენს სკოლის სტრუქტურულ ერთეულს და უფლებამოსილებას ახორციელებს მომდევნო სასწავლო წელს სამეურვეო საბჭოს მიერ მოსწავლეთა შესაბამისი თვითმმართველობის ახალი არჩევნების ჩატარებამდე.

3. მოსწავლეთა თვითმმართველობა დაკომპლექტებულია საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისაგან, რომლებიც აირჩევიან შესაბამისი საფეხურების მოსწავლეთა მიერ.

მუხლი 2.

1. თვითმმართველობა უფლებამოსილების განხორციელებისას დამოუკიდებელია და მის საქმიანობაში ჩარევა ან მასზე რაიმე სახის ზემოქმედების მოხდენა სკოლის ადმინისტრაციის ან ნებისმიერი სხვა პირის მხრიდან დაუშვებელია.

მუხლი 3.

1. თვითმმართველობის ადგილსამყოფელია საქართველო, ქალაქი ტყიბული, თაყაიშვილის ქ. 1.

მუხლი 4.

1. თვითმმართველობას, სკოლის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, აქვს საკუთარი ბეჭედი, შტამპი და დებულებით გათვალისწინებული სხვა ატრიბუტიკა.

მუხლი 5.

წინამდებარე დებულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) სკოლა - სსიპ ქალაქ ტყიბულის #6 საჯარო სკოლა;

ბ) მოსწავლე - პირი, რომელიც სწავლობს სკოლაში;

გ) თვითმმართველობა - სსიპ ქალაქ ტყიბულის #6 საჯარო სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობა „ერქვანი“;

დ) სკოლის ადმინისტრაცია - ქალაქ ტყიბულის #6 საჯარო სკოლის ყველა რგოლის მმართველობითი ორგანო, რომელიც ახორციელებს სკოლის მართვას, ადმინისტრირებას და სასწავლო პროცესს;

ე) საერთო კრება - თვითმმართველობის მმართველობის უმაღლესი ორგანო, რომელიც შედგება თვითმმართველობის წევრებისაგან;

ვ) პრეზიდენტი - თვითმმართველობის უმაღლესი თანამდებობის პირი;

ზ) თავმჯდომარე - კონკრეტული კლუბის ხელმძღვანელი პირი, რომელიც ექვემდებარება პრეზიდენტსა და ვიცე-პრეზიდენტ(ებ)ს;

თ) კლუბი - კონკრეტულ სფეროში (განათლება, მეცნიერება, კულტურა, სპორტი, სხვ.) დასახული მიზნების აღსრულებისათვის შექმნილი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო;

ი) ორგანიზაციის დებულება - თვითმმართველობის ძირითადი სამართლებრივი აქტი, რომლითაც განისაზღვრება თვითმმართველობის სტრუქტურა და საქმიანობის წესი.

თავი II

თვითმმართველობის მიზნები და უფლება-მოვალეობები

მუხლი 6.

1. თვითმმართველობის მიზნებია:

ა) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, დაიცვას და წარმოადგინოს მოსწავლეების უფლებები და კანონიერი ინტერესები როგორც სკოლაში, ისე მის ფარგლებს გარეთ;

ბ) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, ხელი შეუწყოს მოსწავლეებს უნარ-ჩვევების შეძენასა და მათ პრაქტიკულ რეალიზაციაში;

გ) განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები მოსწავლეთა დასვენების, შრომითი მოღვაწეობის ან სხვა მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად;

დ) განახორცილეოს სხვადასხვა აქტივობები მოზარდის გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით;

ე) ხელი შეუწყოს მოსწავლეთა ჩართულობას სკოლაში მიმდინარე პროცესებში, აამაღლოს მათი პროფესიული ცნობიერების დონე და გაამრავალფეროვნოს მათი ცხოვრება.

მუხლი 7.

1. თვითმმართველობა თავისი უფლებამოსილების ფარგლებში:

ა) იცავს და წარმოადგენს სკოლის მოსწავლეთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს;

ბ) სკოლის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობის საფუძველზე წყვეტს მატერიალურ მხარესთან დაკავშირებულ საკითხებს;

გ) გეგმავს, ორგანიზებას უწევს და ახორციელებს მოსწავლეთა პროფესიული უნარ-ჩვევების შეძენის, გამოცდილების მიღების, ცოდნის პრაქტიკაში რეალიზებისა და განტვირთვის მიზნით შეხვედრებს, დებატებს, დისკუსიებს, ტრენინგებს, ინტელექტუალურ თამაშებს, საგანმანატლებლო-სამეცნიერო, კულტურულ, სპორტულ, გასართობ და კანონით ნებადართულ სხვა სახის ღონისძიებებს;

ე) ჩართული არის სამეურვეო საბჭოს და დისციპლინარული კომიტეტის მუშაობას. თვითმმართველობის წარმომადგენელი იღებს მონაწილეობას შესაბამის სხდომებში

ე) თანამშრომლობს სხვა სკოლებთან, სამთავრობო და არასამთავრობო, სახელმწიფო და საერთასორისო ორგანიზაციებთან/გაერთიანებებთან;

თ) თანამშრომლობს შესაბამის იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან მოსწავლეებისთვის საერთაშორისო გაცვლით ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით;

ი) თვითმმართველობის მიზნების მისაღწევად ახორციელებს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, სკოლის წესდებითა და ამ დებულებით გაუთვალისწინებელ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 8.

თვითმმართველობის დაფინანსების წყაროებია:

ა) სკოლის ბიუჯეტი;

ბ) მოსწავლეთა მიერ მოპოვებული გრანტები, შემოწირულობები;

გ) სკოლის გარეთ მოპოვებული ფინანსები (სამთავრობო/არასამთავრობო ორგანიზაციები, კურსდამთავრებულები, დაინტერესებული პირები, სახელმწიფო ორგანოები);

ე) სხვა, კანონით ნებადართული შემოსავლები.

თავი III

თვითმმართველობის წევრი

მუხლი 9.

1. თვითმმართველობის წევრი შეიძლება იყოს მხოლოდ ქალაქ ტყიბულის #6 საჯარო სკოლის ნებისმიერი მოსწავლე, რომელიც იმავდროულად არ იკავებს სკოლაში რაიმე ადმინისტრაციულ თანამდებობას.

2. თვითმმართველობის წევრობა არის ნებაყოფლობითი, მხოლოდ საკუთარი სურვილის შესაბამისად.

3. თვითმმართველობის წევრი არის თავისი კლასის წარმომადგენელი, რომელიც თავის უფლებამოსილებას ახორციელებს პირადად.

4. თვითმმართველობაში გაწევრიანება ხდება წინასწარ შედგენილი ფორმის შევსებით პრეზიდენტის დასტურის საფუძველზე.

მუხლი 10.

1. თვითმმართველობის წევრის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება გაწევრიანებიდან 1 წლით.

მუხლი 11.

1. თვითმმართველობის წევრის უფლებამოსილება იწყება თვითმმართველობაში გაწევრიანებისთანავე.

2. თვითმმართველობის წევრის უფლებამოსილების ვადამდე ადრე შეწყვეტის საფუძველია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) სკოლაში ადმინისტრაციული თანამდებობის დაკავება;

გ) მოსწავლის სტატუსის შეწყვეტა;

დ) სკოლის წესდების ან თვითმმართველობის დებულებით გათვალისწინებული წესების დარღვევა;

ე) არასაპატიო მიზეზით, თვითმმართველობის საქმიანობაში ზედიზედ ერთი თვის განმავლობაში მონაწილეობის მიუღებლობა;

ვ) სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ, უგზოუკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად გამოცხადება;

ზ) თვითმმართველობის პრეზიდენტის ინიციატივა, თუ მას მხარს დაუჭერს საერთო კრების სრული შემადგენლობის 2/3;

თ) თვითმმართველობის წევრების სრული შემადგენლობის არანაკლებ 1/4-ის ინიციატივა, თუ მას მხარს დაუჭერს საერთო კრების სრული შემადგენლობის 2/3;

მუხლი 12.

1. თვითმმართველობის წევრი უფლებამოსილია:

ა) მონაწილეობა მიიღოს თვითმმართველობის მართვის ორგანოების მუშაობაში;

გ) აირჩიოს და თავად იყოს არჩეული თვითმმართველობის მართვის ორგანოებში;

დ) დაიკავოს თვითმმართველობაში ნებისმიერი თანამდებობა;

ე) დებულებით განსაზღვრული მიზნების განსახორციელებლად წინადადებით მიმართოს თვითმმართველობის მართვის ორგანოებს;

ვ) მიიღოს მონაწილეობა თვითმმართველობის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში ან თავად შეიმუშავოს და განახორციელოს ისინი;

ზ) მიიღოს ყოველგვარი ინფორმაცია თვითმმართველობის ორგანოებიდან მათი საქმიანობის შესახებ;

თ) განახორციელოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და ამ დებულებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებანი.

2. თვითმმართველობის წევრი ვალდებულია:

ა) შეასრულოს თვითმმართველობის დებულებით გათვალისწინებული ვალდებულებები;

ბ) დაიცვას სკოლისა და თვითმმართველობის სახელი, ავტორიტეტი და ქონება;

გ) ხელი შეუწყოს თვითმმართველობისა და სკოლის მართვის ორგანოებს შორის ჯანსაღი ურთიერთობის ჩამოყალიბებას;

დ) მიიღოს მონაწილეობა თვითმმართველობის საქმიანობაში;

ე) დაესწროს თვითმმართველობის საერთო კრების სხდომებს.

მუხლი 13.

1. თვითმმართველობას შეიძლება ჰყავდეს საპატიო წევრები, რომელთა რაოდენობაც შეუზღუდავია. მათ არ გააჩნიათ სათათბირო ხმის უფლება. საპატიო წევრის წოდებას ანიჭებს თვითმმართველობის პრეზიდენტი.

თავი IV

თვითმმართველობის სტრუქტურა

მუხლი 14.

1. თვითმმართველობის სტრუქტურაში შედის:

ა) თვითმმართველობის საერთო კრება;

ბ) თვითმმართველობის პრეზიდენტი;

გ) თვითმმართველობის პრეზიდენტის აპარატი;

დ) თვითმმართველობის კლუბები და გაზეთი „ერქვანი“.

მუხლი 15.

1. თვითმმართველობის საერთო კრება თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოა.

2. თვითმმართველობის პრეზიდენტი და კლუბები თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოებია.

3. პრეზიდენტის აპარატი თვითმმართველობის მართვის ორგანოების მაკონტროლებელი ორგანოა.

თავი V

თვითმმართველობის საერთო კრება

მუხლი 16.

1. თვითმმართველობის საერთო კრება წარმოადგენს თვითმმართველობის მართვის ორგანოს, რომელიც შედგება თვითმმართველობაში გაწევრიანებული ყველა მოსწავლისგან.

მუხლი 17.

1. თვითმმართველობის საერთო კრების მოწვევის თარიღს განსაზღვრავს და შესაბამის დღის წესრიგს ადგენს თვითმმართველობის პრეზიდენტი.

2. თვითმმართველობის საერთო კრების ჩატარების თარიღისა და შესაბამისი დღის წესრიგის შესახებ თვითმმართველობის წევრებს ეცნობებათ საერთო კრების ჩატარებამდე არაუგვიანეს ორი დღისა.

მუხლი 18.

1. თვითმმართველობის საერთო კრების რიგგარეშე სხდომას მოიწვევს:

ა) თვითმმართველობის პრეზიდენტი საკუთარი ინიციატივით;

ბ) თვითმმართველობის პრეზიდენტი წევრების არანაკლებ 1/4-ის მოთხოვნით.

მუხლი 19.

1. თვითმმართველობის საერთო კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საერთო კრების სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

2. თვითმმართველობის საერთო კრების სხდომებს თავმჯდომარეობს თვითმმართველობის პრეზიდენტი.

მუხლი 20.

1. თვითმმართველობის საერთო კრება:

ა) ირჩევს თვითმმართველობის პრეზიდენტს;

ბ) თვითმმართველობის პრეზიდენტის წარდგინებით, დამსწრეთა შემადგენლობის უმრავლესობით ამტკიცებს თვითმმართველობის ვიცე- პრეზიდენტ(ებ)ს;

გ) სრული შემადგენლობის 2/3-ით ამტკიცებს ან ცვლილებები შეაქვს თვითმმართველობის დებულებაში.

თავი VI

თვითმმართველობის პრეზიდენტი

მუხლი 21.

1. თვითმმართველობის პრეზიდენტი არის თვითმმართველობის უმაღლესი თანამდებობის პირი, რომელიც უძღვება საერთო კრების სხდომებს და წარმოადგენს თვითმმართველობას მესამე პირებთან ურთიერთობებში.

მუხლი 22.

1. თვითმმართველობის პრეზიდენტი აირჩევა საერთო კრების მიერ 1 წლის ვადით, ფარული კენჭისყრის საფუძველზე.

2. თვითმმართველობის პრეზიდენტის კანდიდატურის დაყენების უფლება აქვს თვითმმართველობის წევრების არანაკლებ 1/3-ს.

3. თვითმმართველობის პრეზიდენტი აირჩევა წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ით.

მუხლი 23.

1. იმ შემთხვევაში, თუ ვერცერთმა კანდიდატმა ვერ დააგროვა არჩევისათვის ხმათა

საკმარისი რაოდენობა, იმავე დღეს ინიშნება მეორე ტური, რომელშიც კენჭი ეყრება ორ საუკეთესო შედეგების მქონე კანდიდატს.

2. იმ შემთხვევაში, თუ მეორე ტურშიც ვერცერთმა კანდიდატმა ვერ დააგროვა არჩევისათვის ხმათა საკმარისი რაოდენობა, ხუთი დღის ვადაში ტარდება ხელახალი არჩევნები.

3. იმ შემთხვევაში, თუ არჩევნებში მონაწილეობს ერთი კანდიდატი, რომელიც ვერ დააგროვებს არჩევისათვის ხმათა საკმარის რაოდენობას, ხუთი დღის ვადაში ტარდება ხელახალი არჩევნები.

მუხლი 24.

1. თვითმმართველობის პრეზიდენტი უნდა იყოს ქმედუნარიანი და არ უნდა იკავებდეს უნივერსიტეტში რაიმე ადმინისტრაციულ თანამდებობას.

მუხლი 25.

1. თვითმმართველობის პრეზიდენტის უფლებამოსილება იწყება მისი არჩევის მომენტიდან და წყდება ახალი პრეზიდენტის არჩევისთანავე.

2. ახალი პრეზიდენტის არჩევისთანავე წინა მოწვევის თვითმმართველობის ყველა ორგანოსა და თანამდებობის პირს უწყდება უფლებამოსილება.

მუხლი 26.

1. თვითმმართველობის პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე ადრე შეწყვეტის საფუძველია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) მოსწავლის სტატუსის შეწყვეტა;

გ) იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენება;

დ) სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ, უგზოუკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად გამოცხადება;

2. პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, მის ადგილს იკავებს (პირველი) ვიცე-პრეზიდენტი.

მუხლი 27.

1. საქართველოს კანონმდებლობის, სკოლის წესდების ან/და ამ დებულების უხეში დარღვევის შემთხვევაში, თვითმმართველობის წევრთა არანაკლებ 1/3-ს შეუძლია საერთო კრების დღის წესრიგში დააყენოს თვითმმართველობის პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხი. პრეზიდენტი გადაყენებულად ჩაითვლება, თუ საკითხს მხარს დაუჭერს საერთო კრების სრული შემადგენლობის არანაკლებ 3/4.

მუხლი 28.

1. თვითმმართველობის პრეზიდენტი:

ა) ხელმძღვანელობს თვითმმართველობას;

ბ) დებულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში იწვევს საერთო კრებას;

გ) უძღვება საერთო კრების სხდომებს;

დ) წარმოადგენს თვითმმართველობას სკოლის ხელმძღვანელ ორგანოებსა და მესამე პირებთან ურთიერთობებში;

ე) თვითმმართველობის სახელით, სკოლის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, ხელს აწერს ოფიციალურ ფინანსურ და იურიდიულ დოკუმენტებს;

ვ) ხელს აწერს საერთო კრების შეხვედრის ოქმებსა და გადაწყვეტილებებს;

ზ) მიზანშეწონილად მიიჩნევის შემთხვევაში ახდენს თვითმმართველობის არჩევნების გადავადებას არაუმეტეს ექვსი თვისა და დასამტკიცებლად წარუდგენს თვითმმართველობის ცენტრალურ ადმინისტრაციას;

თ) თვითმმართველობის კლუბების ხელმძღვანელობასთან ერთად შეიმუშავებს თვითმმართველობის ორგანიზებით განსახორციელებელ პროექტებსა და ღონისძიებებს, რომელსაც წარუდგენს სკოლის ადმინისტრაციას;

კ) კოორდინაციას უწევს თვითმმართველობის ორგანოთა საქმიანობას;

ლ) საერთო კრებას დასამტკიცებლად წარუდგენს ვიცე-პრეზიდენტ(ებ)ის კანდიდატურას(ებს);

მ) უფლებამოსილია გადააყენოს ვიცე-პრეზიდენტ(ებ)ი და პრეზიდენტის მიერ დანიშნული სხვა პირები დაკავებული თანამდებობებიდან;

ნ) აკომპლექტებს კლუბების შემადგენლობას, ნიშნავს და ათავისუფლებს კლუბების თავმჯდომარეებს/თავმჯდომარის მოადგილეებს;

ო) აკომპლექტებს თვითმმართველობის პრეზიდენტის აპარატს;

პ) განსაკუთრებულ შემთხვევებში, კონკრეტული საკითხების გადასაჭრელად ქმნის კომისიებს და ნიშნავს მის წევრებსა და თავმჯდომარეებს;

ჟ) თავის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით გამოსცემს ბრძანებებს;

რ) ანიჭებს თვითმმართველობის საპატიო წევრის წოდებას;

ს) აყალიბებს თვითმმართველობის საარჩევნო კომისიას და წარუდგენს სკოლის ადმინისტრაციას დასამტკიცებლად;

ტ) აცხადებს თვითმმართველობის არჩევნების თარიღს არჩევნებამდე არაუგვიანეს 30 დღისა;

უ) ახორციელებს ამ დებულებით გაუთვალისწინებელ სხვა უფლებამოსილებებს, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას ან/და სკოლის წესდებას.

მუხლი 29.

1. თვითმმართველობის პრეზიდენტი ვალდებულია:

ა) 6 თვეში ერთხელ სკოლის ადმინისტრაციას წარუდგინოს ანგარიში თვითმმართველობის საქმიანობის შესახებ;

ბ) დაიცვას თვითმმართველობის წევრისათვის აუცილებელი მოთხოვნები.

მუხლი 30.

1. ვიცე-პრეზიდენტი ხელს უწყობს თვითმმართველობის პრეზიდენტის უფლება-მოვალეობის განხორციელებას და უწევს მათ კოორდინაციას. პრეზიდენტის თანხმობის შემთხვევაში, (პირველ) ვიცე-პრეზიდენტს უფლება აქვს თვითმმართველობის სახელით ხელი მოაწეროს და გააფორმოს ოფიციალური ფინანსური და იურიდიული დოკუმენტები სკოლის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით.

მუხლი 31.

1. იმ შემთხვევაში, თუ თვითმმართველობის პრეზიდენტი ვერ ახორციელებს საკუთარ უფლებამოსილებას გარკვეული მიზეზების გამო, მის მოვალეობას ასრულებს თვითმმართველობის პირველი ვიცე-პრეზიდენტი.

თავი VII

თვითმმართველობის პრეზიდენტის აპარატი

მუხლი 32.

1. თვითმმართველობის პრეზიდენტის აპარატი თვითმმართველობის სახელით აკეთებს ოფიციალურ განცხადებებს, მოსწავლეებს და დაინტერესებულ პირებს აცნობს და რეკლამირებას უწევს თვითმმართველობის საქმიანობას, დაგეგმილ და ჩასატარებელ ღონისძიებებს.

2. თვითმმართველობის პრეზიდენტის აპარატს აქვს ორი ძირითადი მიმართულება:

ა) კორესპონდენციების და იურიდიული მიმართულება;

ბ) საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულება.

მუხლი 33.

1. პრეზიდენტის აპარატი შედგება თვითმმართველობის პრეზიდენტის მიერ დანიშნული აქტიური წევრებისაგან, რომლებიც ეხმარებიან პრეზიდენტს უფლებამოსილების განხორციელებაში.

2. პრეზიდენტის აპარატს ხელმძღვანელობენ:

ა) პრეზიდენტის აპარატის უფროსი;

ბ) პრეზიდენტის აპარატის უფროსის მოადგილე(ები).

მუხლი 34.

1. პრეზიდენტის აპარატის კორესპონდენციების და იურიდიული მიმართულება ორგანიზებას უწევს თვითმმართველობის ორგანოთა სამართლებრივი აქტების მომზადებას, მათ სისტემატიზაციასა და საჯაროობას, კონსულტაციას უწევს თვითმმართველობის ორგანოებს სამართლებრივი აქტებისა და სხვა სახის დოკუმენტების მომზადებაში, სხვადასხვა სამართლებრივი საკითხების გარკვევაში. თავის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით, თანამშრომლობს სკოლის ადმინისტრაციასთან, ასევე, განიხილავს და ამზადებს თვითმმართველობის სახელზე შემოსულ განცხადებებს, სხვა დოკუმენტაციასა და ხელმოსაწერად უგზავნის თვითმმართველობის პრეზიდენტს.

2. პრეზიდენტის აპარატის საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულება მოსწავლეებსა და დაინტერესებულ პირებს აცნობს და რეკლამირებას უწევს თვითმმართველობის საქმიანობას.

თავი VIII

თვითმმართველობის კლუბები

მუხლი 35.

1. თვითმმართველობის კლუბი არის კონკრეტულ სფეროში დასახული მიზნების განხორციელებისათვის შექმნილი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო.

მუხლი 36.

1. კლუბი შედგება კლუბის თავმჯდომარის და თვითმმართველობის აქტიური წევრებისგან, რომლებიც ახორციელებენ კლუბის მართვას.

2. კლუბის თავმჯდომარეს ნიშნავს თვითმმართველობის პრეზიდენტი.

3. კლუბი უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კლუბის ყველა წევრთა ნახევარზე მეტი.

4. კლუბი გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრეთა შემადგენლობის უმრავლესობით.

მუხლი 37.

1. თვითმმართველობის კლუბის სხდომა ტარდება არანაკლებ 2 (ორ) კვირაში ერთხელ და

მას უძღვება კლუბის თავმჯდომარე, მისი არყოფნის შემთხვევაში კი - თავმჯდომარის (ერთ-ერთი) მოადგილე.

2. კლუბის რიგგარეშე სხდომას იწვევს:

ა) კლუბის თავმჯდომარე ან რომელიმე მოადგილე თავისი ინიციატივით.

ბ) თვითმმართველობის პრეზიდენტი ან მასთან შეთანხმებით რომელიმე ვიცე-პრეზიდენტი.

მუხლი 38.

1. თვითმმართველობაში დასახული მიზნების აღსრულებისათვის შექმნილია შემდეგი კლუბები:

1. სამოქალაქო განათლების კლუბი
2. მეცნიერების კლუბი
3. სპორტის კლუბი
4. კულტურის კლუბი
5. სოციალური მედიის კლუბი
6. დებატკლუბი
7. წიგნის კლუბი
8. ბიზნეს კლუბი
9. საერთაშორისო ურთიერთობების კლუბი

მუხლი 39.

1. სამოქალაქო განათლების კლუბი გეგმავს და აწყობს სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებასთან, ეკოლოგიასთან და გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ ტრენინგებს და კონფერენციებს, აწყობს სხვადასხვა საგანმანათლებლო-შემეცნებით ღონისძიებებს მცენარეთა და ცხოველთა დაცვისა და მწვანე საფარის გაზრდის ხელშეწყობის მიზნით.

მუხლი 40.

1. მეცნიერების კლუბი გეგმავს და აწყობს დებატებს, დისკუსიებს, ტრენინგებს, ინტელექტუალურ თამაშებს, კონფერენციებს და სხვა საგანმანათლებლო-სამეცნიერო ღონისძიებებს ბიოლოგიაში, ისტორიაში, მათემატიკაში, ფიზიკაში, IT-ში და სხვა.

მუხლი 41.

1. სპორტის კლუბი აწყობს შეჯიბრებებს, ჩემპიონატებს სპორტის სხვადასვა სახეობებში, თანამშრომლობს ქალაქ ტყიბულის შესაბამის ორგანიზაციებთან, აგრეთვე ცალკეულ სპორტის სახეობათა ფედერაციებთან და ახორციელებს კანონით ნებადართულ სხვა ღონისძიებებს.

მუხლი 42.

1. კულტურის კლუბი გეგმავს და აწყობს თეატრალურ, კულტურულ, შემოქმედებით და კანონით ნებადართულ სხვა ღონისძიებებს, აგრეთვე შეხვედრებს მოსწავლეებისთვის სასურველ ხელოვნების და კულტურის წარმომადგენლებთან.

მუხლი 43.

1. სოციალური მედიის კლუბი არის თვითმართველობის მედია საშუალება, რომელიც გამოიცემა როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული სახით თვითმართველობის ვებ გვერდის მეშვეობით. გაზეთი „ერქვანი“ აშუქებს სკოლაში მიმდინარე სიახლეებს, თვითმმართველობის ღონისძიებებს, მოსწავლეთა მიღწევების შესახებ ინფორმაციას, ქალაქის და ქვეყნის მასშტაბით

საინტერესო ამბებს, მოსწავლეებისათვის საინტერესო მსოფლიო ტენდეციებს და სხვა.

მუხლი 44.

1. დებატკლუბი ახდენს მოსწავლეთა შეხვედრების ორგანიზებას სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე, სადაც ხდება განხილვა და დისკუსიები მონაწილეთა მიერ. დებატკლუბი საჭიროების შესაბამისად იწვევს სკოლის, ქალაქის ან/და ქვეყნის მასშტაბით ცნობილ პიროვნებებს კონკრეტულ საკითხზე შესაბამისი ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით.

მუხლი 45.

1. წიგნის კლუბი პერიოდულად მართავს საღამოებს კონკრეტული წიგნის, ავტორის ან/და თემატიკის შესაბამისად, სადაც მოსწავლეები და შეხვედრის დამსწრე პირები ერთმანეთს უზიარებენ შთაბეჭდილებებს. წიგნის კლუბი თანამშრომლობს შესაბამის ორგანიზაციებთან (ბიბლიოთეკები, გამომცემლობები, სტამბები და სხვა) რათა უკეთესად უზრუნველყოს მასზე დაკისრებული მოვალეობები.

მუხლი 46.

1. ბიზნეს კლუბი ორიენტირებული არის ახალი ბიზნეს იდეების დაგენერირებაზე ან/და არსებულის გაუმჯობესებაზე, აქტიურად თანამშრომლობს ბიზნესის წარმომადგენლებთან და იღებს კანონმდებლობით დასაშვებ ღონისძიებებში და კონკურსებში მონაწილეობას.

მუხლი 47.

1. საერთაშორისო ურთიერთობების კლუბი თანამშრომლობს შესაბამის იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან მოსწავლეებისთვის საერთაშორისო გაცვლით ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით.

თავი IX

გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

მუხლი 48.

1. წინამდებარე დებულება ძალაში შევიდეს თვითმმართველობის პრეზიდენტის მიერ ხელმოწერისთანავე.
2. ამ დებულების მიღებით გაუქმდეს თვითმმართველობის ამ დებულების მიღებამდე მოქმედი სხვა დებულება.

მარიამ საკანდელიძე
თვითმმართველობის პრეზიდენტი

რიცხვი თვე, 2022 წ.
ქ. ტყიბული